გაცნობის თარიღი: 02/04/2021 22:

გაგზავნის თარიღი : 02/04/2021

გადაწყვეტილება № AR1433234MS

გამარჯობა ბოლო შუალედურის, გადაწყვეტილება #5326185, მიხედვით მოთხოვნილია ვასილ კორჩაგინის და საპროექტო არეალის, დაშენების, მოსაზღვრე საკადასტრო ერთეულების (01.15.05.091.004.01.528 და 01.15.05.091.004.01.523) მფლობელის, ნატალია ანთელავას მინდობილობა და ამ ერთეულის პროექტის გაერთიანება ჩემს მიერ წარმოდგენილ პროექტთან. ნატალია ანთელავა თავისი ხელმოწერით ოქმში ადასტურებს, რომ თანახმაა განხორციელდეს 01.15.05.091.004.01.556 საკადასტრო ერთეულზე წარმოდგენილი პროექტი, თუმცა მისთვის გარკვეულ დისკომფორტს ქმნის მინდობილობის გაცემა სხვა არქიტექტორზე. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე განცხადებით მოხდება გაერთიანებული პროექტის შეთანხმება, უკვე არსებული დაშენების არქიტექტორი კარგავს საავტორო უფლებებს, რისიც პროექტის მთავარი არქიტექტორი (ნიკოლოზ სებისკვერაძე) კატეგორიული წინააღმდეგია. თქვენთვის წარმოდგენილი პროექტი არის უკვე შეთანხმებული პროექტის (განცხადების # AR1751076) ლოგიკური გაგრძელება. ამის გათვალისწინებით, იქნებ მომცეთ საშუალება, ვიმოქმედო ერთ-ერთი შემდეგი ალტერნატივის შესაბამისად: (ა) შევცვალო ნომენკლატურა და პროექტი შევათანხმო, როგორც „ახალი პროექტი“; ან (ბ) ნიკოლოზ სებისკვერაძე დავაფიქსირო პროექტის მთავარ არქიტექტორად და შესაბამისად წარმოვადგინო მის მიერ გაცემული მინდობილობა, რომლის საფუძველზეც მომენიჭება უფლებამოსილება შევიტანო კორექტირება მის პროექტში. ამგვარად, თქვენთან წარმოდგენილი ოქმი ნატალია ანთელავას ხელმოწერით და მინდობილობები (ერთი გაცემული ნიკოლოზ სებისკვერაძის მიერ, და მეორე, გაცემული ვასილ კორჩაგინის მიერ) ერთობლიობაში საკმარისი იქნება იმისათვის, რომ გაიცეს მშენებლობის ნებართვა.